

მედიაწიგნიერების კომპეტენციის განმავითარებელი საშუალებები  
სწავლა-სწავლების პროცესში

რუსუდან გვიშანი

სოფიო ახალკაცი

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა  
და განათლების ფაკულტეტზე ზოგადი განათლების ადმინისტრირების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან თოდაძე, მოწვეული მასწავლებელი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2019 წელი

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

*რუსუდან გვიშიანი*

*სოფიო ახალკაცი*

*24.06.2019*

## მადლობა

მხარდაჭერისა და აქტიური თანამშრომლობისათვის მადლობას ვუხდით ქალაქ თბილისის 175-ე საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ თინათინ ალავიძეს და ამავე სკოლის VI პარარელის საბაზო საფეხურის მოსწავლეებს. მადლობას ვუხდით აღნიშნული კლასების ქართული ენისა და ისტორიის მასწავლებლებს, კვლევის პროცესში გამოვლენილი ინტერესისა და უწყვეტი მონაწილეობისათვის.

აგრეთვე, კონსულტაციებისა და პროფესიული რჩევებისთვის, მადლობას ვუხდით ჩვენს სამეცნიერო ხელმძღვანელს ქალბატონ ქეთევან თოდაძეს.

მადლობას ვუხდით „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტს“ მეთოდური ორიენტირისა და ინტერვენციების ეტაპზე განხორციელებული „მედიაწიგნიერების გაკვეთილების“ იდეისთვის.

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს თემაზე „მედიაწიგნიერების კომპეტენციის განმავითარებელი საშუალებები სწავლა-სწავლების პროცესში“. კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა, თუ როგორ არის შესაძლებელი სწავლებისას მედიაწიგნიერების კომპეტენციების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება. პრაქტიკის კვლევა ჩატარდა თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში. კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე, ისტორიის მასწავლებლები და საბაზო საფეხურის მოსწავლეები.

დიაგნოსტიკის ეტაპზე მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მედიაწიგნიერების კომპეტენციების შესახებ არსებული ცნობიერების დონე საკმაოდ დაბალი იყო, ხოლო პრაქტიკული გამოცდილება და ამ მხრივ მიზანმიმართული მუშაობა სწავლებისას არ წარმართულა. შესაბამისად, საგაკვეთილო პროცესებზე დაკვირვებისა და მოსწავლეთა ანკეტირების ანალიზის შემდეგ, დაიგეგმა ინტერვენციების სამსაფეხურიანი ციკლი.

პირველი ეტაპი ემსახურებოდა მედიაწიგნიერების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას, ხოლო მეორე ეტაპზე განხორციელდა ე.წ. მედიაწიგნიერების გაკვეთილები, რომლის მიზანიც კვლევის ინტერესის ფარგლებში მიზნობრივად შერჩეული აქტივობების განხორციელება იყო. მესამე ეტაპზე წარიმართა სასწავლო აქტივობებზე დაკვირვება, რაც ეფექტური საშუალებების ძიებას ემსახურებოდა.

ინტერვენციების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ შესაძლებელია საგნობრივი პროგრამის ფარგლებში არსებული მასალის სწავლებისას მოსწავლეებს შევთავაზოთ ისეთი აქტივობები, რომლებიც სასწავლო მიზნებთან ერთად ხელს შეუწყობს მედიაწიგნიერების კომპეტენციების განვითარებას. კვლევის შედეგად პედაგოგებმა გაიაზრეს მედიაწიგნიერების მიზნები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში ინფორმაციის სიღრმისეულ და მრავალმხრივ დამუშავებას.

საძიებო სიტყვები: მედიაწიგნიერება, მედიაწიგნიერების მიზნები, მედიაწიგნიერების კომპეტენციები, პრაქტიკის კვლევა.

## **Abstract**

Previous work represents practice research account on the following topic: Educational means for media literacy in the learning and teaching process. The aim of this research was to determine the possibility of improving media literacy competencies during the learning process significantly. Practice research was conducted in one of the public schools in Tbilisi. Many teachers took part in the research, including a teacher of Georgian language and literature, Teacher of History and the pupils of primary school.

On the stage of diagnostics, after interviewing the teacher, the following fact has been highlighted: Existing consciousness about media literacy is quite low and practical experience or any purposeful work has not been conducted during the learning process. Accordingly, after observing learning processes and analyzing pupils' questionnaires three-stage intervention cycle has been planned.

The first stage served as increasing awareness about media literacy. Media literacy lessons were delivered on the second stage. The aim of it was performing activities within research interest chosen for a specific reason. Third stage led to observing learning activities. The aim of it was searching for the effective means.

A very interesting fact that was highlighted during evaluating interventions within thematic program was that we can offer our students such activities that will contribute to the development of media literacy competencies. As a result of this research, teachers understood the aims of media literacy and this understanding will contribute to processing information deeply in the learning process.

Key words: media literacy, the aims of media literacy, media literacy competencies, practice research.